ხელშეკრულება 01/2
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. თბილისი 10 იანვარი „------“ „----------“ 2011წ.

ერთის მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ სკოლის მანდატურის სამსახური (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის ზვიად ხიდიშელის სახით და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია“, მისი პრორექტორის შოთა ნიჟარაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1..1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.
1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში – „შემსყიდველი“) – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, უწევს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 48[1] მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-სკოლის მანდატურის სამსახურის 145 სკოლის მანდატურობის კანდიდატების მოსამზადებელი კურსების გავლის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **26100.00** (ოცდაექვსი ათას ასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.
2. ერთი მანდატურის მომზადების ღირებულება შეადგენს 180.00 (ასოთხმოცი) ლარს.

3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის განხორციელების პირობები

მიმწოდებელი ვალდებულია 2011 წლის 10 იანვრიდან – 18 თებერვლამდე ეტაპობრივად უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურის 145 მანდატურობის კანდიდატების მომზადება შესაბამისი კურსით.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს გამარტივებულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

2. მიღება-ჩაბარება ხორციელდება ფაქტიურად გადამზადებულ მანდატურის კანდიდატთა რაოდენობის შესაბამისად, რომელსაც ადასტურებს „მიმწოდებელი“ და „შემსყიდველი“.

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

1. „მიმწოდებელითან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.
2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი გამარტოვებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.
3 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
4 მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და/ან სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

მუხლი 7. მხარეთა უფლებები

1. **„მიმწოდებელს“ უფლება აქვს:**

   1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.

2. **„შემსყიდველს“ უფლება აქვს:**

   2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

   2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

მუხლი 8. მხარეთა ვალდებულებები

1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

   1.1 დადგენილ ვადაში “შემსყიდველს“ გაუწიოს დროული და ხარისხიანი მომსახურება.

1.2. დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

2. **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის

ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 13. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 30 მარტამდე.

მუხლი 15. ხელშეკრულების კონტროლი

1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.
2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მომსახურების ხარისხის კონტროლი.
3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

მუხლი 16. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

მუხლი 17. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მომსახურების გაწევით.
ბ) მხარეთა შეთანხმებით.
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 18. განსაკუთრებული პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ სკოლის მანდატურის სამსახური
ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. № 1
სახელმწიფო ხაზინა
კოდი 220101222
ანგარიშის №GE20LB0121124662448000
საიდენტიფიკაციო № 205296650

/ზვიად ხიდიშელი/
სამსახურის უფროსი

„მიმწოდებელი"

სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია"
მის: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. №1
ს/ს "ბაზის ბანკი"
ბანკის კოდი 220101956
ანგარიშის №7434165
საიდენტიფიკაციო №209467628

/ზოთა ხიჯარაძე/
პროექტორი

შეთანხმების აქტი № 01/2-1

(10.01.11 №01/2) ხელშეკრულებაში (ცვლილებების შესახებ)

ქ. თბილისი

21 მარტი 2011 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **სსიპ სკოლის მანდატურის სამსახური** –წარმოდგენილი მისი უფროსის ზეიად ხიდიშელის სახით და **სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია"** – წარმოდგენილი მისი პროორექტორის შოთა ნიკარაძის სახით, 2011 წლის 10 იანვარს დადებული №01/2 ხელშეკრულების მე-10 მუხლის 2 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად ეთანხმებით შემდეგზე:

შეტანილ ცვლილება სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურის საჭიროებისათვის სახელმწიფო შესყიდვის №01/2 ხელშეკრულებაში.

1. კერძოდ, მე-3 მუხლის 1 პუნქტში, ხელშეკრულების ღირებულება შემცირდეს 360.00 (სამას სამოცი) ლარით და გახდეს 25740.00 (ოცდახუთიათასი შვიდასი ორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარი. ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი.
2. შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან, იგი დაერთვის ხელშეკრულებას (10.01.11 №01/2) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

„შემსყიდველი"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ სკოლის მანდატურის სამსახური
იურიდიული მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. № 1
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900
კოდი 220101222
საიდენტიფიკაციო № 205296650
ტელ: 143278

/ზეიად ხიდიშელი/
სამსახურის უფროსი

„მიმწოდებელი"

სსიპ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია"
მის: ქ. თბილისი, გმირ ქურსანტთა ქ. №1
ს/ს "ბაზის ბანკი"
ბანკის კოდი 220101956
ანგარიშის №7434165
საიდენტიფიკაციო №209467628

/შოთა ნიკარაძე/
პროორექტორი

10.01.2011

ინტერესთა კონფლიქტი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა სსიპ სკოლის მანდატურის სამსახურის მიერ 2011 წლის 10 იანვარს გაფორმებული N01/2 ხელშეკრულებაში, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებ ხელისმოწერით:

სამსახურის უფროსი - ზვიად ხიდიშელი

სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე- გიორგი კილაძე

სამსახურის უფროსის მოადგილე -სიმონ ქიტიაშვილი

სამსახურის უფროსის მოადგილე-გელა გელაძე

ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი- თამარ ფილაური

მართვისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი-ირაკლი თავდიშვილი

საფინანსო სამმართველოს უფროსი-მაია ხუციშვილი

საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი-მაია მაისურაძე

საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი- ზურაბ მარკოზაშვილი